


କେନ୍ଦ୍ରାଚାର୍ଯ୍ୟ ପତ୍ରିକା

ପ୍ରକାଶକ ମହିମା



# საერთო უნივერსიტეტი

# ԱՐԵՎԱՏՅԱՆ



ଅଳୁଟି 1.

No 5.

၁၀၅၁၁၉၆၀

გ. თაქთაქიშვილი . . . .	სიღის მოსახურის შესახებ . . . . .	3
ქ. ნახუცრიშვილი . . .	ფილოქსერის მოქდე ისტორია და ამერიკული ვაზი . .	5
მღ. აღ. ჯალიაშვილი.	ფუტბოლი . . . . .	8
გრ. ცხადაძე . . . . .	მცხოვარის ცხადებითა მუცლის გაბერვა . . . . .	12
ს. კახელიძე . . . . .	იაფი. სესხის საჭიროება სოფლად . . . . .	15
განცხადება . . . . .		16



ଓଡ଼ିଆ, ୧୯୧୧ ଫେବୃରୀ

# სამეურნეო ჟურნალი

## გოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს უკანასი დაიბეჭდი წერილები შემდეგი პირებისა: — ახორცილი გ.,  
 ახალია ი., ხერეკა შვილი გ., გულბათი შვილი ვ., გვარამაძე გ., გორთამა შვილი გ.,  
 ელია შვილი ზ., ვაჭრა შვილი ვ., თაქთაქი შვილი გ., ოოიძე გ., ოსელინი ე., კახელიძე ს., კარ-  
 ბელა შვილი ელ., კარალელი ვ., შაჩიბელი ა., შლიგნი ღ., შტედლი შვილი ვ., ნაზუცრი შვილი გ.  
 ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. ვ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი.,  
 ფალაგნი შვილი ღ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარციგაძე მ., ყიფიანი პ., ჩიგაძე გ., ცხადა-  
 ძე გრ., ხუნაძე ს., შავლივი ვ., ჭანა შვილი მ., ჭიქია ლ., კახელი შევენას, სემიონოვი ექიმი.

რედაქტორი მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

### თანამშრომელთა საყურადღებოდ.

შურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტრამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი  
 (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი  
 ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორი შეასწოროს და შეამყოლოს.  
 წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასა-  
 ბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავ-  
 ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედე ყველა სამეურნეო ნაწარმოების  
 შექვენასაღასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკო ლ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი  
 (ვნეური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თარი შასური.

წლიური აბონეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთვის შეთანხმებით.  
 განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ წერილი ექნება რედაქტორის, უკანალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუ-  
 გზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურნალი ფალიზაციი ღირს ვ განვით.

რედაქტორის ადგენი: თიფლის, ბართინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილავი





## ხილის მოსავალის შესახებ

ხილის მოსავალი ქართლში განვლილ  
1910 წელს საშუალო იყო.

მართალია, ბევრი ადგილები დასე-  
ტყვა, უფრო კი ქვემო მხარე, მაგრამ  
უმთავრესი ადგილები, სადაც უფრო  
ხეხილის მოშენებას მისდევენ, მაგალი-  
თად, დიდი და პატარა ლიახვის ხეო-  
ბები სეტყვას გადარჩენ და ხილის  
მოსავალიც რიგიანი იყო. უპირველე-  
სი ადგილი ხეხილში ვაშლს უჭირავს.  
მოჰყავთ ექროპიული ჯიშები და ადგი-  
ლობრივიც: აბილაური, კიტრა, თუ-  
რაშაული, კეტურა, სირმა და სხვა.

რომ ქართლი ხეხილის მხარეა, ამას  
როგორც წინადაც მქონდა მოხსენე-  
ბული, თვით ჰავა და ნიადაგი უთხ-  
რობენ და რომ ხეხილის გაშენებაც  
საპატიო ადგილს იქნება და ხილის ნერ-  
გების მოთხოვნილებამაც ძლიერ იმა-  
ტა, ამას ის გარემოებაც მოშობს, რომ  
ქართლის ფრიდონოვების სანერგეს გარდა  
ქართლში ამ ბოლო წლებში კიდევ  
ოთხი სანერგე გაიმართა. ამ სანერ-  
გებიდან უმთავრესად ადგილობრივი  
მცხოვრებლები სარგებლობენ.

ქართლელებმა კარგად შეიგნეს ხი-  
ლის გაშენების სარგებლობა, მაგრამ  
მაინც მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს  
ვერ გადაუწყვეტია, რომ ხეხილს გან-  
ცალკევებული ადგილი მიუჩინოს.


ქართლელი ხილს ვენახის გარეშე-  
მო რგავს, მეტ მუშაობას და ამაგს  
უფრო ვაზს ანდომებს და ხილს მეო-  
რე ადგილი უჭირავს, თუმცა ამ ბო-  
ლო ხანებში ხეხილის ბალებიც კარგა-  
ბლობად გაშენდა.

თვით გასაშენებელი მასალაც ვერ  
არის რიგზე არჩეული. რგავენ რაც  
მოხვდებათ. უფრო კი ყურადღებით  
ევროპიელ ჯიშებს ეკიდებიან, მაგრამ  
მათ შორის ბევრი უვარებისია ქართლი-  
სათვის.

რომ ქართლში ხეხილმა ისეთივე  
ადგილი დაიკიროს, როგორიც კახეთ-  
ში ვაზს აქვს დათმობილი, ამისათვის  
საჭიროა შერჩეული მასალა ვრცელ-  
დებოდეს, ესე იგი ისეთი, რომელიც  
ჰავასა და ნიადაგსაც კარგად იტანს და  
ბაზარზედაც რიგიანი გასავალი აქვს.  
ამისათვის შეგნებული მეურნენი და  
სანერგეთა პატრონებიც მოვალენი  
არიან ურჩიონ და მიაწოდონ მთხოვ-  
ნელთ ნაცადი საუკეთესო ჯიშები.

როგორც ზემოდ მქონდა ნათქვამი  
ხილის მოსავალი ბევრ ადგილს ური-  
გო არ იყო, ფასიც არა ჰქონდა ნაკ-  
ლები, მაგრამ, როგორც ყოველთვის  
ხდება, მოგების მეტი წილი ჩარჩ-  
კრების ხელში გადავიდა და მეურნეს  
მეტად მცირე ნაწილი ერგო. ხეხილის  
მოსავალი მეურნეებს თითქმის ყოველ-  
თვის წინადალი, გაზაფხულზედაც აქვთ  
გაყიდული, ზოგს ორი წლის მოსავა-  
ლიც.

ვაჭარი მეხილე, ეგრედწოდებული  
ბაყალი ფუთს არჩეულ ვაშლს 30—40  
კაპეიკზე ზევით არ დაისვამი, რადგა-  
ნაც ხილს ბალებში ნარდად ყიდუ-  
ლობს და ისეთ დროს, როდესაც მე-  
ურნეს ძალზე უჭირს ფული. ყველა  
ვაჭარს ამორჩეული აქვს თავისი კუთხე,  
თითო-ორობა სოფელი, ხილი დაკვე-



თილი, ბეები დარიგებული და შემო-  
დგომით მხოლოდ ხილის კრეფას და  
გზავნას უნდება.

ხილს მეტ წილად რუსეთის ქალა-  
ქებში გზავნიან. მგხილეები ხშირად  
ტფილისელები არიან. ამ ბოლო ხა-  
ნებში რუსეთიდანაც მოვიდნენ მუშ-  
ტრები და ხილსაც ფასი მოუმატეს.  
ასე რომ ჩვენ ხილს ბაზარი აქვს, მა-  
გრამ მომხმარებელი ანუ მსხვილი მე-  
ხილე ვაჭრები რუსეთისა ჩვენ მხარეს  
და ხილის პატრონებს სრულებით არ  
იცნობენ და ხილს თავის კამისიონე-  
რების საშუალებით ყიდულობენ. აქც,  
რასაკვირველია; ხილის პატრონთა და  
მომხმარებელთა შორის მთელი წყებაა  
შუამავალთა, რომლებიც კარგა ბლო-  
ბა წილს თავისთვის იკერძავენ.

ხილით ვაჭრობის გემო ზოგიერთ  
ადგილობრივ ჩარჩებსაც აქვთ ვაღებუ-  
ლი და ესენი პირდაპირ მუქთად იყრიან  
ხელში ხილის მოსავალს: იგირავებენ  
ვენახებს გლეხებიდან. გლეხებიც ვა-  
ლის თავნისაც და სარგებელსაც ტბი-  
ლით ისტუმრებენ რამდენიმე წლის  
განმავლობაში. ხილის მოსავალი კი  
ისე უფასოდ მიაქვთ მევახშეებს. ხილი  
კი ძალიან ხშირად სქარბობს ვაზის მო-  
სავალს. ასეთ გირავნობის წესს ქართლ-  
ში „კახურად დაგირავებას“ უწოდე-  
ბენ. ამგვარად ხილის გაყიდვა მეტად  
ცუდ პირობებში სწარმოებს.

ამ ორიოდე წლის წინად დიდ ლია-  
ხის ხეობის მეურნეთა შორის დაიბადა  
აზრი ამხანაგობის დაარსებისა, რომ-  
ლის მიზანიც იყო ხილის გაყიდვა რი-  
გიან პირობებში. წესდებაც შეიმუშა-  
ვეს, მაგრამ ვერავითარ ნაყოფიერ გზას

ვერ დაადგნენ და ამხანაგობაშეუძლებელი  
შესდგა. სწორედ ასეთი ამხანაგობა თუ  
შესძლებს ჩვენ ხილს ბაზარი მოუპო-  
ვოს, თორემ ჩარჩ-მევახშეებისაგან თავს  
ვერ დაგაოწევთ და ხილის მოსავალიც  
მუდამ იმათ. ხელში იქნება.

თქმა არ უნდა რომ ბევრი დამაბრ-  
კოლებელი მიზეზები ელობება წინ იმ-  
ხანაგობის დაარსების, ზოგ მეურნეს  
პირდაპირ არა სურს, ზოგი ეჭვის თვა-  
ლით უცქერის, თვით ვაჭრებიც ამხე-  
დრებენ ამხანაგობის წინააღმდეგ შე-  
უგნებელ მეურნეთ, უმთავრესად კი  
ხელს უშლის უფულობა და უვიცობა  
საქმისა. ფული საჭიროა ხილის ჩას-  
წყობ მასალის, ყუთების, ქაღალდის და  
ხის ბურბუშელის შესაძენად და გზის  
ხარჯად და ამასთან საჭიროა გვყვავ-  
დეს მცოდნე მუშები, რომლებიც შესძ-  
ლებენ რაგიანად ჩაღალგონ საქონელი,  
რაც უპირველესი საქმეა ამ გვარ აღე-  
მიცემობაში.

რაც შეეხება ბაზრის მოპოებას, ეს  
მე ადვილი მგონია, რაღანაც თითქმის  
ყველა ქალაქში მოგვეძებნება სანდო  
პირები, რომელთა მეოხებითაც შევიდ-  
ლებთ დიდ ვაჭარ მეხილესთან მოლა-  
პარაკებას და საქმის დაჭერას. თუნდ  
ასეთ პირებათ ქართველ სტუდენტთა  
სათვისტომოები მივიჩნიოთ. ამათ, არა  
ჰერი, უარი გვითხრან ამგვარ შრო-  
მის გაწევაზე, რაღან ასეთი შრომა მე  
მათ ლირსების დამამცირებლად არ მიჩა-  
ჩნია და ამასთან არც სურვილი ექნება  
ამხანაგობას უფასოდ ისარგებლოს მათი  
შუამავლობით.

გ. თაქთაქიშვილი.



## ფილოქსერის მოქალა ისტორია და ამერიკული ვაზი

ვაზის საშინელი მტერი ფილოქსერა, ამერიკიდან პირველად საფრანგეთს ეწვია; ეს მოხდა 1874 წ. აქედან სულ ოც წელიწადს არ გაუვლია, რომ საფრანგეთის 1<sup>1/2</sup> მილიონი დესეტინა ვენახები ფილოქსერამ ინაცვალა. საფრანგეთიდან ვენგრიისაკენ გაიღია შქლა და აქც 17 წლის განმავლობაში 10,000 დესეტინამდის გაახმო. ფილოქსერა რომ საშინელს სისწრაფით მრავლდება და ზირალიც დიდი იცის, ამას გვიმტკიცებს შემდეგი საბუთი: მაგალითად იტალიაში 1879 წ. ფილოქსერისაგან გაფუჭებული ვენახები 24 დესეტინას არ აღმატებოდა, მაგრამ 20 წლის განმავლობაში 75,000 დესეტინა ვენახებს პირაღებით მოედო და ბოლო მოუოო კიდეც. ერთი სიტყვით ამ თვალთუჩინარმა მწერმა ვეროპის არც ერთი კუთხე არ გაუშვა უნახავი, მაგ., შვეიცარია, გერმანია, ისპანია, ბოლგარია, ოსმალეთი და ბოლოს რუსეთშიაც შემოდგა ფეხი—პირველად ბესარაბიაში და შემდეგ ურიმში. რა თქმა უნდა ეს კირი ჩვენ ქვეყანასაც არ ასცდა; პირველად ქუთაისის გუბერნიაში იჩინა თავი და აქედან მეზობელ ქართლის ვენახებსაც მოედო.

კახელ გლეხობას დიდი იმედი ჰქონდათ ფილოქსერა ჩვენამდის მალე ვერ მთალწევსო, მაგრამ სამწუხაროდ ამერიკელმა სტუმარმა შარშან კახური ვაზის ქაშინიც ინახულა. მართალია ფილოქსერა ჯერჯერობით სიღნალის მაზრაშია დაბინავებული, მაგრამ ცხადია ამას არ იკარგებს ეს მოუსვენარი

ძწერი და მალე მთელ კახეთსაც დაუვლის.

საფრანგეთში გაჩნდა თუ არა ფილოქსერა, მაშინვე მთელი დასავლეთი ევროპა დაფაცურდა. ისინი არ ზოგავდნენ არც ფულს და არც შრომას, ოღონდ კი მოესპოთ ეს გამანადგურებელი სენი. მის წინააღმდეგ გამოიგონეს მრავალი საშუალება, მაგალითად გოგირდ-ნახშირბაძის სიხე (ცეკვიუგლიობა). ამ წამალს უშვებდნენ მიწაში; თუმცა ეს საწამლავი ჰქოცავდა კიდეც ფილოქსერას, მაგრამ გოგირდ-ნახშირბაზი მეტად ძვირად უჯდებობათ მამულის პატრონებს, რაღაც თითქმის ყოველ წელიწადს საჭირო იყო ამ წამლის მიწაში ჩაშვება. სცადეს აგრძელები წყლის საშუალებით ფილოქსერის დახოცვა, ამისათვის ვენახებში აგუბებდნენ წყალს, მაგრამ ამითაც ვერ მიიღწიეს მიზანს, რაღაც ყველგან ან საკმარისი არ იყო წყალი, ან თუ იყო, თითონ ვენახის მდებარეობა ხელს უშლიდა წყლის დაგუბებას. ბევრმა ქვიშან მიშებზედაც გააშენა ვენახები. ხოლო ეს ზემო ჩამოთვლილი საშუალებები როგორც ჰედავთ ყოველთვის და ყველასათვის ხელსაყრელი არ იყო. ამნაირად პირველ ხანებში დიდ გაჭირებას განიცდიდნენ ევროპიელები მაგრამ მაინც ისინი იმედს არ ჰყარგავდნენ და ყოველ დღე ახალ კვლევა-მიებაში იყვნენ. ევროპიელების ცდამ მუქთად არ ჩაიარა, იქაურმა ნასწავლმა ხალხმა ამერიკაში მიაგნეს იმგვარ ვაზს, რომლის ფესვებსაც ფილოქსერა ვერას აკლებდა. აი ამ

ამერიკულ გამძლე ვაზზედ დღეს დამყნობილია თითქმის მთელი დასავლეთი ეკროპის ვენახები. ჩვენშიც სახელდობრ ქუთაისის გუბერნიაში მეტი წილი ვენახები ნამყენი ვაზით არის გაშენებული.

მაშტაზელებისათვისაც დადგა ის ლომ, რომ ამიერიდან მამაპატურის წესით ვენახების გაშენება სწორედ თავის თავის დაღლპვა იქნება. სჯობს დღეიდანვე შეუდგეთ საქმეს, ვინაიდან ფილოსერა არც კახეთს დააყრის კეთილს.

წინააღდეგ შემთხვევაში, ვენახები, ეს უმთავრესი წყარო ცხოვრებისა, კახელებს ხელიდან გამოეცლებათ და მაშინ კახელი გლეხი დაემზავსება უწყლოდ დარჩენილ თვეზეს.

ვაზის მყნობა და მისი მოვლა არც ისე ძნელია, როგორც ზოგიერთსა ჰელი. ნამყენის შესასწავლად და ხელის გასავარჯიშებლად, კმარა მხოლოდ თარ-სამ დღეს უყუროს კაცმა დახელოვნებულ ვაზის მყნობელს, დარწმუნებული ვარ მესამე-მეოთხე დღეს ისიც გვარიანად დაუწყებს კეთებას. ოლონდეს არის კაცმა არ დაიზაროს და წავიდეს სასწავლებლად. მაღლობა ღმერთს, დღეს როგორც იმერეთში ისე ქართლსა და კახეთშიაც მოიპოვდიან სახელმწიფო ამერიკული ვაზის სანერგეები სადაც გამგენი მოვალენი არიან დაუზარებლივ ყველას აუხსნან და ასწავლონ, როგორც მყნობა ისე შემდევში იმისი მოვლაც.

რადგან პირველ ხანებში რიგიანად არ ჰქონდათ გამოკვლეული ამერიკული ვაზის ხასიათი და თვისება, ამისათვის ეკროპიელებს არა ერთხელ მოუხდათ დარგული ნამყენის ამოღებადა

მის მაგიერ სხვა ამერიკულ კურსზე დამყენის ჩაყრა. ეკროპიელებმა უკარგათ ბრკოლებაც მალე აიცდინეს თავიდან. ამჟამად ამერიკული ვაზის ყველა ჯიშები ზედმიწვნით გამოკვლეულია. დღეს ყველა შეგნებულმა მევენახებ კარგად იცის თუ რა ჯიშის რა მიწასა და ჰაერს თხოულობს და აგრძელვე რომელი მათგანი უფრო უძლებს ფილოსერას.

**მიწა.**—საზოგადოდ გამოკვლეულია, რომ ამერიკულ ვაზს კირნარევი მიწები საშინლადა სძულს. ასეთ მიწებში ამერიკულ ვაზზედ დამყნობილ ეკროპიულ ან ჩვენ ვაზს ფოთლის სიყვითლე ემართება. თუმცა არის ისეთი ჯიშის ვაზიც, რომელიც კირნარევს მიწებს კარგად იტანს, როგორც მაგალითად ბერლანდიერი და რუპესტრის. ამისათვის ვისაც ჰსურს ნამყენი ვაზით ვენახის გაშენება, პირველად თავისი სავენახე მიწის შედგენილობა უნდა გაიცნოს და შემდეგ ამის მიხედვით ნამყენი ვაზი შეურჩიოს. კაჯნარევ ფხვიერ მიწებში სადაც ურტაოდენი რკინაც ურევია თითქმის ყველა ჯურა ამერიკული ვაზი მშვენიერადა გვარობს. სამაგიეროდ ნამყენი ვაზი მაგარსა და ნოტიოთ თიხა მიწას ვერ ეწყობა. რიპარია, რომელიც საუკეთესო ჯიშად ითვლება, კარგად გვარობს მხოლოდ მსუქან და ფხვიერ მიწაზედ, კირნარევი მიწა კი ძალიანა სძულს.

მეორე ჯურა ვაზი რუპესტრის გაცილებით გამძლეა პირველზედ. გვარობს თითქმის ყველანაირ მიწაზედ, მაგალითად თიხნარ და აგრძელვე კირნარევ მიწებზედაც. რუპესტრის არც სველ გრილ მიწებსა სწუნობს.

**მიწის სინესტე.**—რაც შეეხება ჭაობიან აღვილებს, ესენი მეტად გამო-

უსადეგარნი არიან ამერიკული ვაზისათვის. ამგვარ მიწებში ნამყენს მაღლე ეტანება მრავალგვარი ავადმყოფობა, აგრედე ცვავილიც სცვივა ხოლმე, და თუ დიდი გვალვა დაუდგა, მაშინ ჭაბუინ მიწებში ნამყენი უფრო მაღლე ხმებიან ვიდრე მშრალში. მაშასადამე ამნაირი მიწები ჯერ უნდა გამოაშროთ და შემდეგ ისე შეუდგეთ ვენახის გაშენებას.

მიწის სინოეივრეც დიდ გავლენას ახდენს ამერიკულ ვაზზედ. ზოგიერთა მათგანი ვერ იტანენ ნოენი მიწას, როგორც მაგალითად ვიტის რუპესტრის, რომელიც ჯანდაგ მიწებზედ უფრო კარგათა გვარობს, ოლონდ ეს უკანასკნელი ფხვიერი იყოს. რუპესტრის კარგად იზრდება წმინდა ქვიშა მიწებზედაც. ვიალლა და სოლონის ჯანდაგ მიწებს უფრო კარგად ეწყობიან. რიპარია კი პირიქით ფხვიერ მსუქან ადგილსა თხოულობს.

აი ასეთი სხვადასხვა ხასიათი და თვისება აქვს თვითვეული ამერიკული ვაზის ჯიშს, ამისათვის ჩვენც იძულებულნი ვართ ჩვენი მიწებისათვის შეფერებული ჯიშები ავარჩიოთ და თუ მიწა არ გვივარება, მაშინ ის ხელოვნურად გამოვაკეთოთ.

**მიწის გაკეთება.** ვისაც სავენახე ადგილში მაგარი თხნარი მიწა აქვს, საჭიროა იმის ღრმად გადაბარვა და საჭონლის ნეხვით გაპატიება, რომელშიაც უკეთესი იქნება რომ ბზე ან ჩალა გაურიოთ და თუ ადგილი ჭაობინია ღრმა საწკრეთები დაეჭრას.

რაც შეეხება მშრალ ალაგებს, იმათი გამოკეთება მხოლოდ ხშირად დამუშავებით შეიძლება. მაგალითად ბარვით ან თოხნით. მორწყვაც რასა-

კვირველია არ უნდა მოაკლოოთ და მოაკლოოთ თოხნის შეალობით სინესტე გრილის ბამდის ინახება მიწაში, რადგან თოხი აფხვიერებს მიწის ზედაპირს, აღარა სქედება იგი და ამისათვის მიწაში მოკცეული სინესტე გზას ვეღარა პოულობს რომ მაღლა ამოვიდეს. ურიგო არ იქნება მშრალ მიწებში ძველი სასუქიც შეიტანოთ. ერთი სიტყვით მაგარი თხხა მიწები როგორც ზევით მოვიხსენიეთ გადაბარვით და სასუქის შეტანით შეიძლება გამოკეთდეს. ეს მაშინ თუ პატრონს წელი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ ვაზზედ გაკეთებული ნამყენი უნდა დაირგას, რომელიც მსხვილსა და მაგარ ფეხს იკეთებს. გამოკვლეულია რომ მაგარ ფეხსვიანი ვაზი უფრო კარგად გვარობს თხნარ მიწებში, ვიდრე ნაზ ფეხსვიანი ჯიშები.

**კირნარევი მიწები.** როგორც ზევითა ვსთევით ამერიკული ვაზები კირნარევ მიწებში სიყვითლით (ხლოროზი) ხდებიან ავად. განსაკუთრებით კირიან მიწას ვერ იტანენ ვიალლა და რუპესტრის. ამგვარ მიწას უფრო ეწყობიან ბერლანდიერი და რიპარია. უკეთუ თქვენი ადგილი კირნარევი მიწაა, მაშინ რასაკვირველია საჭიროა შეურჩიოთ ისეთ ამერიკულ ჯიშებზედ დამყნობილი ვაზი, რომლებიც უფრო კირიან მიწებს ეწყობიან. დარგვის შემდეგ ასე უნდა მოუაროთ: რადგან კირი მეტად მიწის სილრმეში იმყოფება და ზედაპირზედ კი თითქმის სულ არ მოიპოვება ან ძალიან ცოტა, ამისათვის ნამყენ ვაზებს ხელი არ უნდა შეუშალოთ რომ ამ ზედაპირიდან ისაზრდოვონ, რისთვისაც საჭიროა ზევითა ფეხსვებს გაუფრთხილ-

დევ, ესე იგი ორმად არ დაჰბაროთ  
რომ ბარმა ეს ზემოთა ფესვები არ  
დააჭრას.

კირნარევი მიწები უფრო ცუდად მა-  
შინ მოქმედობენ ვაზზედ, როდესაც  
მიწები ნოტიონი არიან, მაშინადამე  
მათი გამოშრობა ძალიან ხელს შეუ-  
წყობს ვაზების სისალეს.

**სალერწვე ძირები.** ამერიკული ვა-ზის ჯიშები მრავალია, მაგრამ ყველა ერთნაირად როდი უძლებს ფილოქსე-რას. გარდა ამისა ზოგიერთი კარგად არ ეთვისება ჩვენებურ ვაზს, ესე იგი ნამყენს ვერ იღულებს რიგიანად.

ბევრნაირი გამოცდის შემდეგ სა-  
უკეთესო ჯიშებად შემდეგი ვაზები  
სცნებ: ვიალლა, რუპესტრის, სოლო-  
ნის ბერლანდიერი და რიპარია.

**სოლონის.** მეტად გამძლე ვაზია,  
შუვენივრად გვარობს ნოტიო თიხნარ  
მიწაზედ. კირნარევ მიწაზედაც ნაკლე-  
ბად ხდება სიყვითლით ავად, ოუმცა მო-  
კარბებული კირი ამ ვაზედაც ცუდათ  
მოქმედობს. ერთი სიტყვით ნოტიო  
თიხნარ და მლაშე ადგილებისათვის

სოლონის საუკეთესო ჯიშად უნდობიროვანი  
ითვალისწინებული იყო. მაგრა მეტი სიცხე უფრო  
სწყებს ვიდრე სიგრძილე. გვალვაში ფო-  
თლების ჩამოცვევნა იცის.

**ରୂପ୍ୟେସ୍ତ୍ରିଳିସ**—ଲାନ୍ଗନ୍‌ଯେରି ବାହିଆ, ଫ୍ରେସ୍‌ଵେଜ-  
ଡି ଗର୍ଦ୍ଧେଲି ଦା ମାଙ୍ଗାରି ଏକ୍ସ, ଗ୍ରାନ୍‌ଟିମ୍‌  
ଜାନିଲାଗ ତିକଣାର ଦା କ୍ଷେତ୍ରିଶିଥାର ମିଟ୍‌ଗ୍ରେ-  
ଟ୍ୟୁଲ. ମେଲ୍‌କାନ ମିଟ୍‌ବାଟ୍‌ରେ ଯୁଗ୍‌ମିଲିସ ଗା-  
ପ୍ରିଯନ୍ତା ପ୍ରିସ. ରୂପ୍ୟେସ୍ତ୍ରିଳିସ ଗୋଲ୍‌ଫିଲ୍‌ ଦା  
ସିଲ୍‌ଫିଲ୍‌ ଅମ୍ବାନି ବାହିଆ.

კიალლა ღონიერი და გამძლე ვა-  
ზია, უყვარს მსუქანი და ფხვიერი მი-  
წა. თიხნარი და კირნარევი მიწები ამ  
ვაზს სრულებით არ უხდება. ნამყენს  
კარგად ითვისებს.

**ბერლანდიერი.** კირნარევ მიწას  
სხვა ჯიშებზედ უფრო კარგად ეწყო-  
ბა. ამ ვაზის უმთავრესი წუნი ის  
არის, რომ ამისი ლერწი ძნელათა ხა-  
რობს.

როპარია. უყვარს მსუქანი ფხვიერი  
მიწა. კირნარევ მიწაზედ სიყვითლე  
ემართება.

## ପ୍ରାଚୀକରଣକାରୀ

საფუტკრისათვის ადგილ-მიღამოს  
შერჩევა. მეფუტკრეობა მხოლოდ მა-  
შინ იძლევა თვალსაჩინო სარგებლო-  
ბას, როდესაც ღალიანია, უხვი. ყვავი-  
ლითაა მოსილი ის მიღამო, სადაც სა-  
ფუტკრე არის გაშენებული. რამდენა-  
დაც მდიდარია ყვავილით ეს მიღამო,  
იმდენად საფუტკრე მეტს სარგებლო-  
ბას აძლევს პატრიონს.

არის ისეთი მიღამოები, სადაც თი-  
თო ძირი ფუტკარი იძლევა 2—3 ფუთს  
თათლს; არის ისეთი ადგილწიგვები, სა-

დაც, პირიქით, პატრონს თავად უხდებ-  
ბა ხოლმე თავის საფუტკრის ხელოვ-  
ნურად გამოკვება, ესე იგი ხშირად  
ზარალის მეტს არას იძლევა. რასაკვირ-  
ველია, ასეთ აღვილებში მეფუტკრეო-  
ბა არავისთვის ხელსაყრელი. არ იქნება  
და რომ ეს ასე არ მოხდეს, ვიდრე  
საფუტკრეს გავაშენებდეთ, უნდა კარ-  
გათ დავთვალიეროთ ორ-სამ ვერსის  
მანძილზედ ის მიღამოები, სადაც მე-  
ფუტკრეობა გვწადიან, — რომ ეს მი-  
დამოები იყოს ლალიანი, თაფლით მდი-



დარი. ასეთი სიფრთხილე განსაკუთრებით ჰმართებთ მრჩო-მრეწველ მეფუტტკრეთ, რომელთათვისაც მეფუტტკრეობა შეადგენს უმთავრეს ცხოვრების სახსარს.

მეფუტტკრეობისათვის შეუდარებელია ტყიანი ადგილები თავის კორდ-მინდვრებით, ნამეტნავად თუ იგი საქონლისაგან დაცულნი არიან. ხოლო ხელუხლებელი ტყე კი საღაც ყოველგვარი ყვავილ-ბალახები დაჩრდილულ-მოსპობილა, უვარგის ადგილად უნდა ჩაითვალოს.

საუკეთესოა აგრედვე სახნავ-სათიბი ადგილებიც. ეს კია, რომ ასეთი ადგილები ფუტტკარს მუდმივ საზრდოს არ აძლევენ, ვინაიდან სათიბი ადგილები თიბათვის პირველ რიცხვებშივე უკვე ითიბება და ამით ფუტტკრებს ესპობათ მუდმივი საზრდო. გათიბამდე კი სათიბი მინდვრები დიდალ თაფლს იძლევა: თითო ძირს ფუტტკარს შეუძლიან დღეში 6-დან 15 გირვანქამდე შეიტანოს თაფლი, თუ ნამეტანი სუსტი არ არის იგი.

ხეხილის ბალებსა და ვენახებზედ თუ იმათ ახლო-მახლო ტყე-მინდვრები არ იშკოფება დიდს იმედს ვერ იქნიებს კაცი. ხეხილის ბალები დიდს დახმარებას უწევს საფუტტკრეს მხოლოდ ადრე გაზაფხულობით, რადგანაც იგინი ყველაზედ ადრეულს თაფლს იძლევიან ახალი ბარტყის საკვებავად, თორემ ხეხილის თაფლი საზოგადოდ დაბალი ღირსებისაა.

მრჩო-მრეწველს მეფუტტკრეს შეუძლიან გააშენოს თავის საფუტტკრე მთაშიაც და ბარშიაც. მთის თაფლი ძალიან სურნელოვანია, ძვირფასი და ადგილის მიხედვით სხვადასხვა გემოს

მექონე. გამოჩენილი მეფუტტკრე ბეჭედი ტრანი გვირჩევს: „მეფუტტკრეს წელობით, ვისი ცხოვრებაც მთლად დამოკიდებულია ფუტტკრის ღალაზედ, მის შემოსავალზედ, უნდა ჰქონდეს ორი საფუტტკრე, — ერთი მთებში, მეორე ბარში, რომ ორივე ადგილების სიკეთით ისარგებლოს. როდესაც არ არის ღალა ბარში, ხშირად ბლომად არის ხოლმე იგი მთაში, როდესაც არ არის ღალა მთაში, ბევრია იგი ბარში. გარდა ამისა, თუ ორივე საფუტტკრე ერთმანეთზედ ახლოს არიან, შევგიძლიან ბარის საფუტტკრეს შევატანინოთ მთის ღალაც; ამისათვის საკიროა მხოლოდ მისი გადატანა ბარიდან მთაში, როდესაც აქ თიბეა გათვალდება“.

სასურველია, რომ საფუტტკრეს ახლო არ იყვეს საკირე-სანახშირები, ან თუ ფაბრიკა-ქარხნები, საღაც მუდმივი ბოლი დგას გადაულებელ ჯანღივით. საზოგადოდ, ფუტტკარს ბოლი ძალიან ეჯავრება და უშლის მას ყოველგვარს საქმე-გარჯილობაში.

არც თუ დიდი მდინარეებია სასურველი საფუტტკრეს ახლო: სკიდან გამოფრენილი კუჭ-ცარიელი ფუტტკარი ადვილად გადადის მდინარეზედ, ხოლო, როცა კი იგი მძიმედ იტვირთება თაფლით, მაშინ დაუსვენებლად ვეღარა სძლებს მდინარის სივრცეზედ გადმოფრენას და ბედშავი იღუპება წყალში.

საფუტტკრესათვის ადგილის არჩევის დროს მეფუტტკრე-მრეწველმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კიდევ ერთ გარემოებას: ახლო-მახლო მიღამოებში, საღაც მას საფუტტკრეს გაშენება სწადიან, არა მძვინვარებდეს სიღამპლე — ეს უსაშინელე-

სი ავადმყოფობა ფუტკრისა, რომელიც მუსის ადენს ბარტყს და ანელებს მთელს ოჯახს. ეს ავადმყოფობა შეტად გადამდებია და თუ ოდესმე ყოფილა იგი საღმე რამოდენიმე ხნის შემდეგ კვლავ იჩენს ხოლმე თავს.

**საფუტკრეს აღგილი.** ჩვენ აქნა- ბამდე ვსაუბრობდით იმ მიღამოს ავ- კარგიანობაზედ, საიდამაც ფუტკარმა უნდა ეზიდოს საფუტკრეზედ ღალა. ახლა კი საჭიროა ითქვას ზოგი რამ თვით იმ აღგილზედაც, საღაც საფუ- ტკრე, ანუ სკები უნდა იქმნენ დადგ- მულ-მოთავსებულინ.

საფუტკრე აღგილი რაც შეიძლება, დაფარული უნდა იქმნას დაეინებული ქარებისაგან. ქარი ძალიან დიდ ზიანს აძლევს ფუტკარს მუშაობის დროს: მინდვრიდან დაბრუნებული ფუტკრები ეხლებიან ხეებს, სახლებს და სხვა ამ- გვარს საგნებს და იხოცებიან.

ნიადაგის შერყევა და ხმაურობა- ბრახუნი ფუტკარს ძალიან სწყინს, ნა- მეტნავად ზიმთარში და ამისათვის თუ შესაძლო იქმნეს საფუტკრე აღგილი მოშორებული უნდა იყოს გზებსა და საცხოვრებელს სადგომებს. ასეთი გან- ცალკევება საფუტკრისა სასურველია კიდევ იმ მოსაზრებით, რომ ამით ვიხს- ნით შინაურ ცხოველებს და ზოგიერთ გაუფრთხილებელ ხალხსაც ფუტკრების დასევისაგან, რაიც ძალიან ხშირად ხდე- ბა, როდესაც საფუტკრე შიგ შუა სო- ფელშია მოთავსებული.

სიახლოვე წყაროსი, თხილისა და წნორის ბუჩქებისა დიდს სარგებლობას აძლევს საფუტკრეს აღრე გაზიფხულო- ბით: ფუტკრებს იღარ უხდებათ შორს ფრენა და სიცივისაგან დაღუპვა.

ყოველ შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვალი პირობებით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ თუ ეს პირობები სავსე- ბით დაცული არიქნა, იქ მეფუტკრეო- ბა შეუძლებელი იყვეს. არა. ასეთი პირობები სავალდებულოა და ადვილი ასასრულებელიც მრჩო-მრეწველ მე- ფუტკრეთათვის, რომელთაც მეფუტკ- რეობა განსაკუთრებულ ხელობად გა- უხდიათ და თავიანთი ცხოვრება მხო- ლოდ მის შემოსავალზედ დაუმყარე- ბიათ. ასეთმა მეფუტკრეებმა, რა თქმა უნდა, უკეთეს პირობებში უნდა იქო- ნიონ საფუტკრეები, განგებ უნდა ეძე- ბონ შესაფერი აღგილები, რომ უფრო მეტი შემოსავალი მიიღონ. ხოლო ის პირნი კი, რომელთაც არ შეუძლიანთ მოშორდნენ სახლს და მეფუტკრეო- ბას ანდომებენ მხოლოდ ოვისუფალს დროს, ძალაუნებურად უნდა დასჯერ- დნენ იმ აღგილ-მიდამოს და პირობებს, საღაც და რა პირობებშიაც თავად ცხოვრობენ. ასეთი საფუტკრეებიც ხშირად დიდს ნივთიერს დახმარებას უწევენ კაცს ცხოვრების გასაუმჯობე- სებლად.

**ფუტკრის ყიდვა.** — მომეტებულ ნა- წილად საფუტკრეებს აშენებენ რამო- დენიმე ნაყიდი ფულკრის ოჯახებიდან. ასეთ შემთხვევაშიაც კარგი გამოცდი- ლებაა საჭირო, რომ რიგიანი ოჯახი აირჩიოს კაცმა. ფუტკრის ავ-კარგია- ნობა ჩარჩოიან სკებში აღვილი გასა- გებია, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში ასეთ სკებში მეფუტკრეობა მაგრე რიგად ჯერ არ არის გავრცელებული, ასე რომ ფუტკრის სყიდვის დროს მომე- ტებულ ნაწილად უბრალო კასრ-გოლ- რებში მოთავსებულს ფუტკრებთან უხდება საქმე მყიდველს.

ფუტკრის ყიდვა სჯობია უფრო გაზაფხულობით — მარტში ან აპრილში, რაღანაც ამ ხანებში ფუტკარი უკვე გავებილია და დაზიანება-დან ელების მხრივ მას არაფრის შიში აღარა ელეს-რა.

თუ გამოცდილი მეფუტკრე ახლო-მახლო არ იპოვება, რომ იმის დახმარებით აირჩიოს კაცმა უფრო სამჯობინი სკები, მაშინ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს გარემოებებს:

1) თუ ფუტკრები მუშაობის დროს წყობრივ და მხიარულად მიმოფრინავენ სკაში და მასთან იმდენად მრავლად, რომ მისაფრენს იგინი თითქმის აბნელებენ, \*) — ეს უტყუარი ნიშანია ჯახის სიძლიერისა.

2) თუ მისაფრენიდან იგრძნობ აყროლებულს, არა სასიამოვნო სუნს, — ეს კი მომასწავებელია რაიმე ავადმყოფობისა. პირიქით, ჯანსაღ სკიდან გამოდის სასიამოვნო სუნი, როგორ-საც გრძნობს კაცი თაფლის დუღილის დროს.

3) თუ ფუტკარი ხოკერშია მოთავ-სებული, ან გოდორში, სიმჭიდის დაკვალად (ხელში აწევით) აღვილად ივარაუდებს კაცი სკის სიავ-კარგეს. მაგრამ თუ იგი დიდ კოდებშია დაბინა-ვებული, მაშინ ყველაფერი ეს უნდა

\*) მისაფრენს აბნელებენ თვისი რიცხვით ღარიბი სკის მოსახლე ფუტკრებიც როდესაც იგინი პირველ გაზაფხულზედ გამომლერებენ კუჭის გასასუფთავებლად. მაგრამ იგინი აღვილად ირჩევიან სარჩოზედ მინაფრენს ფუტკრებიდან: პირველნი ირგვიან იქვე სკის ახლო-მახლო, ხოლო უკანასკნელნი კი სკიდან გამოსვლის უმაღ გარბიან მინდორში უკან მოუხედავად და იქიდამაც ფეხებ-აჭრელებულნი მჩიარულის ზუზუნით შერბიან სკაში.

გაითვალისწინო გარედან დაბრახუნებით: მშვიდობიანი, ჯანსაღი და ძლიერი ოჯახი დაბრახუნების ღროს ერთბაშად იგუგუნდება და სწრაფადვე წყნარდება, ხოლო სუსტი სკა კი აბზუილდება უთანასწოროდ, თითქმის არჩევ სხვადასხვა ბუზის ხმას და სერთი საცოდავი ხმა დიღხანს აღარ ჩერდება. ყველა ეს ნიშანია ფუტკრის რაოდენობის სიმცირისა სკაში, საზრდოს სიმცირისა და ხშირად აბლობა-უდედობისაც:

ესენი არიან უმთავრესი გარეგნული ნიშნები ამა თუ იმ სკის სიავ-კარგისა. ხოლო უფრო აღვილია სკის სიავ-კარგის გამოცნობა მაშინ, როდესაც შეძლება ეძლევა კაცს შიგ სკაში ჩაიხედოს, ფუტკრის ბუდე დაშალოს და ყველაფერი თავის თვალით შეამოწმოს.

ასეთს შემთხვევაში უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს:

1) რომ ფუტკრის ოჯახი არ იყოს უვარგისი, უნაყოფო დედოიანი. ასეთს სკაში: а) გაზაფხულზედ, როცა პირველი ყვავილები იშლება, კვერცხები და მატლი არეულად არის ნაფანტი ფიჭის უჯრებში. ჯანმთელს, ნაყოფიერ დედოიან სკაში კი ფუტკრის ბარტყი ერთბაშად უჯრების გამოუტოვებლად არის გადაბეჭდილ-გადაფისული; б) შემოდგომაზედ უნაყოფო დედოიან სკაში ყვავილის მტვერი შედარებით ბევრი აქვთ უჯრებში დარჩენილი და არც მავალ ფუტკრს ერეკებიან კარზედ, მაშინ როდესაც სხვა ბედნიერს სკაში მათ დაუნდობლივ ულეტენ, როგორც ამ ღროისათვის სრულებით გამოუსადეგარს მოსახლეთ; გ) ხშირად ერთსა და

იმავე უჯრაში შეხვდებით რამდენსამე ჩადებულს კვერცხს, ან თუ სამუშე ფიქაში ნახავთ ამობურთულს კუზმავვა-რად გადაბეჭდილს ბარტყს,—ეს უტყუა-რი ნიშანია იმისა, რომ ნაყოფიერის დედის ნაცვლად, ამ სკაში გამეფებუ-ლა ცრუ-დედა; დ) სრულიად უდედო სკაში ბარტყი და კვერცხი არ მოი-პოვება.

2) ბუდეში ნაკლებად უნდა იყოს სამამლე ბიჭა, რაიც იცნობა უჯრების სიღიღ-სიბატარავით. თვით ფიქებიც არ უნდა იქნენ დაძველებულ-გაშავებულნი და ფუტკრის განავლით გავ-სიღნი.

3) მეტია ლაპარაკი იმაზედ, რომ რამდენადაც მეტი თაფლი იქნება სკა-ში, იმდენად უკეთესია, ხოლო თვითონ სკა კი—ეს ფუტკრის დარბაზ-საბრძანებელი, არ უნდა იქნეს მეტად ვიწრო და პატარა, კედლებიც უნდა ექნეს შესაფერი სისქისა, რომ კარგად დაი-ფაროს მთელი ოჯახი სიცხე-სიცივისა-გან.

**ფუტკრების გადატან-გადმოტანა.** ზამთარში ფუტკრების აღგილიდან და-ქრა და შორს მანძილზედ გასტუმრება შეტად მავნებელია და საზიანოც, რადგანაც სიცივისაგან დაბუხებული ფუტკრი მოშეტებულ შემთხვევაში ვერ უძლებს მგზავრობით გამოწვეულს

ახლა-დახლას, სწყდება ბუდეში და მაგრა მარტივი არ არის. აქედან ციალია, რომ ფუტკრების შორს მანძილზედ წალება უნდა ხდებოდეს ისეთ დროს, როდესაც ჰაე-რი საქმარისად გამთბარია და ფუტკ-რებიც თავისუფლად ფრინავ-მოძრაობენ, ესე იგი გაზაფხულობით, ან შე-მოდგომობით. ზაფხულშიაც გადააქვთ გადმოაქვთ სკები, მაგრამ იქ დიდი გა-მოცდილება და სიფრთხილეა საჭირო, რომ სიცხისაგან ან არ იმოიხრჩნენ და ან ფიქები არ ჩაიულლან სკაში.

ფუტკრების გადატან-გადმოტანა შე-იძლება **ხელით, ცხენით და ეტლით.**

**ხელით გადატანა** ფუტკრისა თუმცა ყველა საშუალებებზედ საიმედოა და უზრუნველყოფილი გაფუჭება-დან ელე-ბის მხრივ, მაგრამ, რადგანაც ასეთი წესით სკების ზიღვა ერთობ ძნელია და გასაჭირი, ნამეტნავად თუ დიდი მანძილიდან ხდება მათი გადაზიდვა, ამ წესით ნაკლებად სარგებლობენ და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ორიოდე სკა გაღმოსატანი და თვით სკებიც სუბუქნი არიან, როგორც მაგალითად ხოკრები ან გოლორ-კალა-თები.

**მღვდ. ალ. ჯალიაშვილი**

(შემდეგი იქნება)

## მცირენავ ცხოველთა მუცელის გამერვა

ზოგჯერ მცირენავ ცხოველებს კუ-ჭი გუდასავით გაებერებათ ხოლმე ჰაე-რით. ეს ემართებათ მათ მაშინ, რო-ცა გაძლებიან ნედლი ლობითი, მუ-ხუდოთი, ცერცვალათი (იაპონიის ლო-ბიო), მაშათი, ძაბათი, ნედლი იონჯით,

კალამით, ჭაობის ზოგიერთ ბალახებით, კომბოსტოს ფოთლებით, ჭარხლის ფო-თლებით, ქორფა პურის ან ქერის ჯე-ჯილით და სხვ.

ამნაირი საჭმელები კუჭში, როგორც კი ცოტათი შელბებიან და შეთბებიან,

იწყებენ მაჭარივით დუღილს. ასეთი დუღილით კუჭში წარმოსდგება ჰაერ-გვარები და როგორც მაჭარი გაბერავს ხოლმე გუდას, ისე ჰაერავს კუჭსა.

გაბერილი კუჭი მუცელში ბევრ ად-  
გილს იჭერს და დანარჩენ ორგანოებს,  
რომელნიც მკერდში და მუცელში მდე-  
ბარეობენ (ფილტვებს, გულს, ლვიძლს  
და სხვ.) აწვება, რის გამო ცხოველი  
ძლიერია სწუხს, სუნთქვა უძნელდება,  
ხვნების, თავი ჩამოჭინდრული აქვს  
და თვალები უსიცოცხლო; კუდი ცო-  
ტათ აწეული აქვს, იჭინთება, გარედ  
გასვლის ცდილობს, მაგრამ ვერ ახერ-  
ხებს, წელში აბღუნკულია; ფეხები  
ახლო-ახლო უდგა; მოძრაობა ეზარება.  
ასეთ მდგომარეობაში ცხოველი დიდ-  
ხანს ვერ სძლებს და, თუ დროზედ არ  
ეშველა, იგუდება.

**ექიმობა.** ცხოველს ვამოძრავებთ,  
კარგია აღმართი ავატაროთ; გავაჩე-  
რებთ ისეთ ადგილს, რომ წინა ფეხე-  
ბი მაღლა ედგეს უკანებზე; ხშირ-ხში-  
რად ენას გამოუწევთ, პირში ჩალას  
ვუხილინებთ, თუ ჩალაზედ ცოტა კუ-  
პრსაც ჭავსტებთ, უკეთესი იქნება;  
ხშირ-ხშირად დავაწევებით მარცხენა  
ფერდზედ; ძოვუდგებით ორივე მხრი-  
დან ორი ადამიანი და უზილავთ მუ-  
კელს ფეხებით.

ამ საშუალებით შეიძლება ცხოველს ყველრება (ბრაყინი) დავაწყებინოთ და ეს კი დიდ შეღავათს მისცემს. ამასთან ვეცდებით აგრძევე, რომ ჰაერი უკანა ტანიდანაც გავუყვანოთ. | ამისათვის ავილებთ ცერტცოს თესლს, ან კამის თესლს, ან უცრის თესლს, ან და ყველას ერთად ავუჩივთ, დავნიყავთ, გავ-

ხსნით წყალში და დავალევინ ებთ სისტემული  
გყოფს.

არიან ისეთი საშუალებები, რომელ-  
თაც შეუძლიანთ საჭმელის დუღილი  
შეაჩერონ კუჭში და იქ გავრცელე-  
ბული ჰაერგვარები დააქრონ. ესეთ  
საშუალებებს ეკუთვნიან:

- 1) საპნიანი წყალი;
  - 2) მარილიანი წყალი (3 სტოლის კოვზი საჭმელი მარილისა 1 ბოთლ წყალში);
  - 3) კირიანი ან ცარციანი წყალი (1 მი-მისხალი გაუნელებელი კირი ან ცარ-ცი 1 ბოთლ წყალში);
  - 4) ორი სტოლის კოვზი პოტაშური ერთ ბოთლ წყალში;
  - 5) ერთი სტოლის კოვზი ნიშადურის სპირტი 1 ბოთლ სელის თესლის გაღ-მონახარუში;
  - 6) ერთი სტოლის კოვზი ნიშადურის სპირტი და 1 ლვინის სტაქანი ლვინის სპირტი 1 ბოთლ წყალში გარეული;
  - 7) ერთი ჩაის სტაქანი არაყი და 1 სტოლის კოვზი სკაპიდარი ერთად არე-ული;
  - 8) ერთი სტოლის კოვზი სკაპიდა-რი 1 ბოთლ სელის თესლის ნახარუში გარეული;
  - 9) ერთი სტოლის კოვზი სკაპიდა-რი,  $\frac{1}{2}$  გირვანქა გლაუბერის მარილი და  $\frac{1}{4}$  გირვანქა სელის თესლი უნდა გაღმოვადულოთ ერთად და ჯერ ისევ თბილი დაგალევინოთ აგადმყოფს.

ამ დასალევინებელ საშუალებებიდან რომელიც კვეთავს იმას ვიხმართ.

მოუხდება აგრედვე ცხოველს კო-  
ტა ხნით ცივ წყალში ჩაყენება (ისე კი  
რომ მუცელი დაეფაროს წყალში). კარ-  
გია აგრედვე მარცხენა ფერდის გაგრი-  
ლება (კივი წყლით).

ამ ჩამოთვლილ საშუალებების გარდა ხმარობენ კიდევ საგანგებო იარაღებს:

1) ყელის ზონდის და 2) ტროაკარს.

ყელის ზონდი წარმოადგენს მოქნილ ჯოხს იმ სიგრძისის, რამდენიც საჭიროა, რომ იგი პირიდან კუჭამდის ჩასწვდეს ცხოველს.

ზოგიერთი ყელის ზონდი სიგრძეზედ გულგახვრეტილია, ასე რომ იგი მთელს წარმოადგენს. ამგვარ ზონდს ჩაუყოფენ ცხოველს პირიდან ფაშვში, საიდანაც ჰაერი ზონდის ნახვრეტის საშუალებით გარედ გამოდის.

ტროაკარი წარმოადგენს სადგისს, რომელსაც აქვს ტარი და ლერო. ლერო ძლიერ სწორეა, გვერდები რგვალი აქვს და კარგად გასუფთავებული და გალესილი, წვერი წამწვეტებული აქვს კარანდაშივით და კარგი მჭრელია; ამ ლეროზედ წამოცმულია თხელი (ლითონის) მილი, სიგრძით სადგისის ლეროს სიგრძეზედ უფრო მოკლე, ასე რომ, როცა ლეროზედაა წამოცმული, სადგისის წვერი გარედაა გახდებული. ამის გარდა მილი ისე კარგად და მჭიდროდ არის ლეროზედ გაყწობილი, რომ მათ შეა თითქმის ჰაერიც ვერ გაივლის, სადგისი კი თავისუფლად შედის მილში და გამოდის. მილის ის თავი, რომელიც წვერისკენაა. აგრედვე ისე კარგად არის მიყანილი ლეროზედ, რომ თითქმის არც კი ემჩნევა, რომ სადგისის ლეროზედ მილია წამოცმული.

აიღებენ ამ იარაღს — ტროაკარს — და დაკრავენ ცხოველს მარცხენა ფერდში შეა ადგილას, რომელიც უნდა გამოვზომოთ კუკუხოს ძვლის ყურიდან უკანასკნელ ვერდის ნეკნამდე სწორედ. ტროაკარს დავიყვანთ ტარამ-

დის, სადგისს ამოვაძრობთ, მიჭურიშვილი დავტოვებთ. ტროაკარი გასჭრის ტყავს, მის ქვეშ ხორცის და ჩავა ფაშვში. ამნაირად ჭრილობაში ჩატოვებული მილის თავი ერთი ფაშვშია, მეორე გარედ. ამ მილით იწყებს ჰაერი გარედ გამოსვლას. ჰაერის ერთბაშად გამოშვება ავნებს ცხოველს, ამიტომ ნელნელა უნდა გამოუშვად.

პატარა ცხოველებისათვის სახმარი ტროაკარის ღრეული სიგრძე 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> გოჯია, დიდებისა კი სამი გოჯი.

თუ ტროაკარი არ გვეშვება და მდგომარეობა საშიშია, მაშინ შეიძლება ტროაკარის მაგივრად იმერული წვრილი დანა (გოჭის საკლავი დანა) ვიხმაროთ. დანას წვერი კარგათ წალესილი ექნება. ავილებთ ასეთ დანას და დავკრავთ მარცხენა ფერდში, როგორც ზევით ვსტკით, შევაბრუნებთ ხელში, რომ ჰაერიმა უფრო მეტი გზა იშოვნოს გამოსასვლელი, და შევატოვებთ შიგ; ხანდისხან შევანძრევთ ფრთხილად დანას, თუ ჰაერი ვეღარ გამოდის. როცა ფაშვი დაითუკება ჰაერისაგან, დანას ამოვაძრობთ.

ტროაკარით ან დანით მიცემული ჭრილობით ცხოველს არაფერი ზიანი არ მიეცება, თუ იგინი ხმარების წინ კარგად გავასუფთავეთ და გავბანეთ ან არაყში, ან სპირტში, ან კარბოლის წყალში, ან-და შეიძლება ცეცხლის ალზედ მოვავლოთ, შევახუროთ და მერე განელებული ვიხმაროთ. ის ადგილიც, საცა იარაღი უნდა დავკრათ, აგრედვე უნდა მოგბანოთ და ბალანი მოვკრიჭოთ, რომ ჭრილობაში უსუფთაობა რამე არ ჩავიდეს.

# იაზი სესხის საჭიროება სოფლად

(დასასრული\*)

## 8. როგორ უდა გაიხსნას საპ- რეზიტო ამხანაგობა

როდესაც რომელიმე სოფლის მცხოვ-  
რებინი განიზრახვენ საკრედიტო ამხა-  
ნაგობის დაარსებას, მათ უპირველეს  
ყოვლისა უნდა გამოიწერონ მახლო-  
ბელ სახელმწიფო ბანკის განყოფილე-  
ბიდან სამაგალითო წესდება, რომე-  
ლიც უნდა გულდასმით გადაიკითხონ  
და აუხსნან იგი სხვებსაც. განსაკუთ-  
რებით საჭიროა განმარტება შემდეგი  
კითხვებისა: ა) წევრების პასუხის მგებ-  
ლობა და ბ) ამხანაგობის სიმკვიდრე.  
როგორც ზევითაცა გვკონდა საუბა-  
რი, პასუხისმგებლობა არის ორგვა-  
რი—განსაზღვრული და განუსაზღვრუ-  
ლი. განსაზღვრული პასუხის მგებლო-  
ბა გამოიხატება იმაში, რომ წევრები  
ამხანაგობის ზარალის დროს პასუხს  
აგებენ თავიანთ კრედიტის ორკეც ან  
სამკეც ზომას; განუსაზღვრული კი  
ნიშნავს ისეთს პასუხისმგებლობას, რო-  
დესაც წევრები მთელი თავიანთი ქო-  
ნებით აგებენ პასუხს. ხშირათ ეს მუხ-  
ლი წესდებისა აფრთხობს გლეხებს და  
უარს იძახიან ამხანაგობაში ჩაწერაზე.  
ნამეტნავად ამას ხელზე იხვევენ მოვახ-  
შები და ურჩევენ გლეხებს არ მოტ-  
ყუდენ და არ ჩაწერენ ამხანაგობა-  
ში. ჩასაკვირველია, მოვახშების ხალ-  
ხის დარღი კი არა თავიანთი დარ-  
ღი აქვთ. მათ კარგათ იციან, რომ  
ამხანაგობის გახსნით მოეპობათ მუშ-

ტარი და ვეღარ ისარგებლებენ ხალ-  
ხის ნაოფლარით. საქმის მოთავებმა  
უნდა აუხსნან ხალხს, რომ პასუხისმგე-  
ბლობა მაგრე რიგათ საშიში არ არის;  
პირიქით პასუხის მგებლობა იმიტომ  
არის მოგონილი, რომ უფრო მკვიდ-  
რი იყოს ამხანაგობა და უფრო ერთ-  
გულათ მოექცნენ მის საქმეებს წევ-  
რები. არც თუ მეორე კითხვა საშიში.  
საკრედიტო ამხანაგობა მოქმედობს  
დაწვრილებით შემუშავებულ წესდე-  
ბით, რომელიც შედგენილია საზღვარ-  
გარეთის სასოფლო ბანკების მიხედვით.  
ამხანაგობის ფული უნდა ინახებოდეს  
რკინის სკივრში, რომელიც იწონის  
25 ფუთს და რომელიც იკეტება ორის  
გასაღებით. ერთი გასაღები აქვს ხაზი-  
ნადარს, მეორე გამგების მეორე წევრს.  
გამგების წევრნი ამის გამო ვერავი-  
თარს ბოროტებას ვერ ჩაიდენენ, გინ-  
დაც მოისურვონ ბოროტების ჩადენა,  
ვერ გაბედავენ, რაღანაც მეოვალუ-  
რე საბჭო გამუდმებით ადეკვატური თვალ-  
ყურს და ფულის გაფლანგვაზე გამგე-  
ბის წევრნი პასუხს აგებენ ამხანაგო-  
ბის წინაშე მთელი თავიანთი ქონებით.  
ყველაზე უფრო სარწმუნო თავდები  
ამხანაგობის სიმკვიდრისა არის ის, რომ  
ამხანაგობაში და განსაკუთრებით გამ-  
გებაში წევრებათ ირჩევენ სვინიდი-  
სიერ, ნდობა დამსახურებულ პირებს,  
რომლებიც არამც თუ რაიმე ბოროტე-  
ბას არ ჩაიდენენ, არამედ მუდამ თავ-  
განწირულათ იმუშავებენ ამხანაგობის  
საკეთილდღეოთ.

\*) იხილე მოხადული № 4.

როდესაც დამაარსებლები შეიგნებენ ამას, მათ უნდა გადასწყვიტონ რამდენიმე კითხვა. უპირველესად მათ უნდა განსაზღვრონ ამხანაგობის მოქმედების რაობი; ე. ი. რომელ სოფლებზე უნდა გავრცელდეს ამხანაგობის მოქმედება. ამხანაგობა, რაც უფრო დიდი იქნება, იმდენი კარგია, ამიტომ კარგი იქნება, თუ ამხანაგობის მოქმედება გავრცელდება რამდენიმე ახლომახლო სოფლებზე ასე, რომ მოგროვდეს 300—400 კომლი. არც თუ ძალიან დიდი რაობი ვარგა, რადგანაც მაშინ შეიძლება ისეთები ჩაეწერნენ წევრებიად რომლებიც ერთი-ერთმანეთს არ იცნობენ, არ იციან ერთმანეთის ზე-ხასიათი და ქონებრივი მდგომარეობა. შემ-

დეგ უნდა გადასწყვიტონ, თუ რამდენი უნდა იყვეს გამგეობა, რამდენი რომ სახელმწიფო ბანკიდან ძირითად თანხად და რამდენი მოკლე ვადით (გრძელ ვადიანი სესხი შეიძლება 100 თუმნამდე, მოკლე ვადიანი 300 თუმნამდე) და რამდენზე მეტი არ ექნება თითოეულ წევრს კრედიტი.

ამ კითხების გადასწყვეტის შემდეგ უნდა დაიწეროს თხოვნა. თხოვნასთან უნდა წარდგენილ იქნეს ცნობები იმ სოფლების შესახებ, რომლებზედაც უნდა გავრცელდეს ამხანაგობის მოქმედება და ცნობები იმათ შესახებ ვინც ამხანაგობის დამაარსებელი იქნებიან.

ს. კახელიძე

## განცხადებანი სამეურნეო ჟურნალი

### „მოსავალი“

მიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის.

ჟურნალი გამოდის იმავე პროგრამით. ღირს წლიურად 3 მანეთი. იქიდება ავრედვე 1909 წლის „მოსავალის“ ნომრები ედა-კაზმული 2 მან. და 1910 წლის უედო 3 მან.

მოსავალის რედაქციაში იყოდება შემდეგი მართული წიგნები:

ვ. ი. რცხილაძე	კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (მეორე ნაწილი)	50 კ.
იმისივე (თარგმანი)	ქიმია პრ. როსკოსი (მეორე გამოცემა) . . . . .	30 კ.
იმისივე	საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან და შვეიცარიის ძირითადი კანონები ფასი . . . . .	25 კ.

